კომერციული ბანკების გადახდისუუნარობის მოწესრიგება ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით

ანა მამაგეიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი კალანდაძე, დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა მამაგეიშვილი *22.06.2018*

აბსტრაქტი

კომერციული ბანკები დიდ როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, შესაბამისად, საჭიროა, ბანკების გადახდისუუნარობისადმი განხორციელდეს სწორი კომპლექსური მიდგომა.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ორიენტირებულია წარმოაჩინოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რეგულირებისა და ზედამხედველობის როლი ბანკის გადახდისუუნარობისას, რომელიც თავს იჩენს არასაკმარისი ლიკვიდობის რისკის წარმოქმნისას.

სწორედ ამ რისკის თავიდან ასაცილებლად, საბანკო სექტორში არსებული კრიზისული მოვლენების აღმოსაფხვრევად აუცილებელია შემუშავდეს გადახდისუუნარობის სპეციალური მომწესრიგებელი რეჟიმები და სამართლებრივი მექანიზმები, რაც თავისთავად უზრუნველყოფს საბანკო დაწესებულებათა ფინანსურ მდგრადობას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კომერციული ბანკი, მულტინაციონალური ბანკი, ეროვნული კანონმდებლობა, გადახდისუუნარობა, ზედამხედველი ორგანოები.

Abstract

Commercial banks play a pivotal role in countries' economic growth. Therefore, it's crucial for those states to come up with a correct complex approach towards banks insolvency procedures.

This particular Master's Thesis is oriented to determine how essential the role of regulation and supervision is in bank's insolvency which eventually results in creating the risk of insufficient liquidity.

In order to avoid this risk and eradicate crisis in the banking sector it is necessary to develop a special regulatory approach and legal mechanisms for insolvency which will provide the financial sustainability for banking institutions.

Key Words: Commercial bank, Multinational bank, National legislation, Insolvency, Supervisory bodies.